

K 214 360  
3

მანანა რხეიძე



# ქვე-კასი



ზეიზნის  
მიწვევიდან




მანანა ჩხაიძე



ქვე-კაცი ზეიანის მიწებიდან

სპეგ-2000  
შემოწმებულია

თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა  
თბილისი 1991



63.4(2 Γ)  
№ 963

წინამდებარე ნაშრომი ეხება 1981 წელს სოფელ მანაეთან კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი კ.ფიცხელაური) საქართველოს ტერიტორიაზე პირველად აღმოჩენილ ქვის გამოსახულებას - ქვა-კაცს. ავტორის აზრით, გამოსახულება სკვითო-სარმატულ სამყაროს მიეკუთვნება. ნაშრომში გაანალიზებულია ქვა-კაცის გარეგნული სახე, მოცემულია მასზე გამოსახული საგნების დეტალური დახასიათება, რის საფუძველზეც დადგენილია გამოსახულების თარიღი.

ნაშრომში პარალელია გავლებული ზეიანის შიწების ქვა-კაცსა და სკვითური ტიპის სხვა ქვა-კაცებს შორის, აღნიშნულია ქვა-კაცების დანიშნულება და მნიშვნელობა სკვითურ კულტურაში, მოცემულია მათი ელასიფიკაცია. მოყვლედაა მიმოხილული სკვითური კულტურის ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე.

ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.


რედაქტორი პროფ. გ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე.  
რეცენზენტები: დოც. გ. ა. ვ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.  
დოც. ა. წ. ე. რ. ე. თ. ლ. ი.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991

0504000000

ყ

608 (06) 91



### ქვა-კაცი ზეიანის მიწებიდან

1981 წელს ზეიანის მიწებზე მომუშავე კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით სოფელ მანავთან მდებარე სამაროვანის გათხრისას აღმოაჩინა ქვა-კაცი (ტაბ. №1, ა).

ქანდაკება დამზადებულია ღია ფერის, რუბ-მოყვითალო ქვიშა-ქვისაგან. ქვა-კაცის სიმაღლე 2,20 მეტრია, სიგანე 39 სმ-დან 21 სმ-მდე. იგი ოთხკუთხა სტელას წარმოადგენს, რომელიც ძირი-სკენ სოლისებურად ვიწროვდება. ქანდაკების ქვედა ნაწილის დამუშავების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი ბოლო 50 სმ-ის სიღრმეზე განკუთვნილი ყოფილა მიწაში ჩასაფლობად.

ქვა-კაცი სქემატური, უბეში რელიეფითაა ნაკვეთი. თავი მკვეთრადაა გამოყოფილი სხეულისაგან. სახის დამუშავება პრიმიტიულია. თვალები, პირი, ცხვირი გამოხატულია ღრმულების სახით. აღნიშნულია ყურის და თმის კონტურები. თავსაბურავი არ ახურავს. ყელზე შემოვლებული აქვს მასიური კირკალი, ხელები გულზე აქვს დაკრფილი, მარჯვენა ოდნავ ზევით მარცხენაზე. ქანდაკების ეს ნაწილი დაზიანებულია, ამიტომ დანამდივლებით თქმა იმისა, ეჭირა თუ არა ქვა-კაცს რაიმე ხელში, შეუძლებელია. ქვა-კაცს წელზე არტყია ფართო, გლუვი ქამარი. მარჯვენა თემოსთან, ქამრის ქვემოთ გამოსახულია ორი გადაჯვარედინებული აკინაკი და საბრძოლო ცული. მარცხენა თემოსთან გამოკვეთილია კაპარჭი კურდღლის გამოსახულებით. კაპარჭიდან ზევით, მკლავისკენ, სარტყლის გადაკვეთით მიუყვება მკაფიოდ ამოკვეთილი ხაზი (სავარაუდოა მშვილდის ლარი ან ისარი).

1981 წლის მონაპოვარი საქართველოში ქვა-კაცის ტიპის ქანდაკების აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა. ვეროპის, აზიის, ყირიმის, ჩრდილოეთ კავკასიის, კარპატისპირა, ენისეის ნაპირებზე აღმართული ამ ტიპის ქვის ქანდაკებები უძველესი დროიდან იქცვს მნახველთა ყურადღებას. XVIII საუკუნის რუსეთში მათ ქვის კაცებს, ქვის ქალიშვილებს ან ქვის დედაკაცებს (Каменные банды) უწოდებდნენ.

K 214.360

დღეისათვის სპეციალისტები ასეთ ქანდაკებათა ოთხ ტიპს გამოყოფენ<sup>1</sup>. პირველ ტიპს მიეკუთვნება ბრინჯაოს ხანაში აღმართული 2-4 მეტრის სიმაღლის ქვის სტელები, რომლებზედაც მნათობთა კოსმიური ნიშნებია გამოსახული, ქვედა ნაწილში კი—აღამიანის სტილიზებული სახე. ისინი ძვ. წ. ა. II ათასწლეულით თარიღდებიან.

მეორე ტიპი ქანდაკებებისა წარმოადგენს სკვითო-სარმატულ ქვის სტელებს.

მესამე ტიპის ქანდაკებები თურქულენოვანი, ასევე მომთაბარე, ხალხის დანატოვარია (ახ. წ. ა. VI-IX ს. ს.).

მეოთხე ტიპს წარმოადგენს ვეროპის სტეპებში (დნებრის, დონის, ვოლგის და ა. შ.) გავრცელებული ქვა-კაცები, რომელთა შესახებ მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. ერთნი მათ ყიფნალებს მიაკუთვნებენ (ახ. წ. ა. XI-XII ს. ს.); მეორენი—აღანებისა და ხაზარების დანატორად თვლიან (ახ. წ. ა. VI—VIII ს. ს.)<sup>2</sup>.


ზეიანის მიწებზე აღმოჩენილი ქვა-კაცი, ჩვენი აზრით, რაც მხოლოდ ვიზუალურ დაკვირვებას ემყარება, სკვითო-სარმატულ სამყაროს უნდა მიეკუთვნებოდეს. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს როგორც ქვა-კაცის საერთო გარეგნული სახე, ასევე მასზე გამოსახული საგნები.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამ ტიპის ქანდაკებათა დიდი ნაწილი ერთმანეთის მსგავსია. ესაა მეომრის რამდენიმე მეტრის სიმაღლის ქანდაკება, რომელიც სუსტი რელიეფით კვეთილ ოთხკუთხა სვეტს მოგვაგონებს. სახე და საერთოდ მთელი გამოსახულება სქემატურია. ამ ეპოქის ქანდაკებათა უმრავლესობას მარჯვენა ხელში უჭირავს რიტონი. მარცხენა ხელი მოთავსებული აქვთ მარჯვენის ოდნავ ქვევით, ქამრის ზემოთ ან ქამარზე (კივეის, დნებროპეტროვსკის, კრასნოდარის მუზეუმთა სტელები პერეგომისკის, დონის, სტანიშინოს, კალინოვსკის სტელები), ზოგჯერ კაპარტზე (ტერნოვკის სტელა). ქვა-კაცებზე ჩვეულ ადგილას გამოსახადდნენ იარაღს და საჭურველს (სატკვარი, კაპარტი, საომარი ქამარი, იშვიათად ცული, მათრახი, ჯავშანი). ეს გამოსახულებანი სქემატურია, მაგრამ ყოველთვის შეესაბამება სინამდვილეს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Малая Советская энциклопедия, Т. 4, М., 1959, ст. 423.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Граков Б. И., Скифы, М., 1971, ст. 102.



როგორც აღვნიშნეთ, ზეიანის მიწების ქვა-კაცზე გამოსახულია სატყვერები, ცული, კაპარჭი, ყელსაბამი, სარტყელი, რომელთა დაწვრილებით გაცნობა-შესწავლას სტელის დათარიღებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

საომარი სარტყელები ფართოდ იყო გავრცელებული სკვითებში. სარტყელზე იკიდებდნენ სატყვერებს, ცულს, მათრახს, კაპარჭს. სარტყელს აგრეთვე დამცავი მნიშვნელობაც ჰქონდა.<sup>1</sup> იგი ნახსენებია ჰეროდოტეს მიერ მონათხრობ სკვითური ლეკენდის ელინურ ვარიანტშიც<sup>2</sup>.

სკვითებისათვის დამახასიათებელი იყო სამი ტიპის საომარი სარტყელი: 1. ტყავის; 2. ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი; 3. ფიგურებიანი აბზინდებით შემკული<sup>3</sup>. პირველი ტიპის ქაშრები არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არ არის, რადგან ტყავი დრომ არ შემოინახა. ხელოვნების ძეგლებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი ტიპის ქაშრები ყველაზე უფრო გავრცელებული იყო სკვითებში<sup>4</sup>. თითქმის ყველა სკვითურ სტელაზე (ტერნოკის და კრასნოდარის მუზეუმის სტელების გამოკლებით) გამოსახულია გლუვი ტყავის ქაშრები. ასეთივე სარტყელია გამოსახული ზეიანის მიწების ქვა-კაცზე.

ზეიანის ქვა-კაცს სარტყელზე მარჯვენა თემოსთან ჰკიდია 23 და 28 სანტიმეტრის სიგრძის ორი სატყვეარი, რომელთა ზედა ნაწილი მთლიანად დაზიანებულია. ამიტომ გაურკვეველია, როგორი იყო მათი ვადა, ჰქონდათ თუ არა გვერდითი ფხები, რაც ასე დამახასიათებელია სკვითური აკინაკისათვის (ტაბ. №1, გ.).

ცნობილია, რომ სკვითური აკინაკები ორ ჯგუფად იყოფა: პარალელურპირიანი და სოლისებური<sup>5</sup>. პარალელურპირიანი აკინაკები გვხვდება ძვ. წ. ა. VI-V საუკუნეებში<sup>6</sup>. ძვ. წ. V საუკუნიდან გამოიყენება მხოლოდ სოლისებური, გრძელი, ვიწრო სამკუთხედის ფორმის სატყვერები. ა. ი. მელიუკოვას აზრით, ეს მიანიშნებს, რომ სკვითური აკინაკები პირველ რიგში იყო საჩხველტი და არა საჩნხი

<sup>1</sup> Мелюкова А. И., Вооружение скифов, М., 1964, стр. 74


<sup>2</sup> ჰეროდოტე, ისტორია, ტ. 1, თბ., 1976, გვ. 253.

<sup>3</sup> Черненко Е. В., Скифский доспех, К., 1968, стр. 58.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 59.

<sup>5</sup> მელიუკოვა ა. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

<sup>6</sup> იქვე.



დანისმნულებს იარაღი<sup>1</sup>.

აკინაკის ფორმაზე იყო დამოკიდებული ქარქაშის ფორმაც. არსებობდა პარალელური პირიანი და სოლისებური ქარქაშები. ათათურული ტიპის ქარქაში, თავის მხრივ, კიდევ ორ ჯგუფად იყოფა: ფართობლოიანი და სწორი<sup>2</sup>. ორივე ჯგუფის ქარქაში არსებობდა მთელი სკვითური პერიოდის მანძილზე.

ფართობლოიანი ქარქაშები ჰგავს სპარსულ რელიეფებზე გამოსახულს. ა. ი. მელიუკოვას აზრით, ეს ფორმა სკვითებში სპარსეთიდან შემოვიდა<sup>3</sup>. ა. ი. მელიუკოვას არ ეთანხმება ე. ვ. ჩერნენკო, იგი თვლის, რომ, მიუხედავად სკვითური და სპარსული აკინაკების ერთმანეთთან მსგავსებისა ვადით, გვერდითი ფხით, გადაკვეთის ადგილით, ქარქაშის ბოლოთი, მათ შორის განსხვავება უფრო მეტია. მთავარი განსხვავება ისაა, რომ სპარსული აკინაკი ვადიანად შედის ქარქაშში, სკვითური კი — არა<sup>4</sup>.

ზეიანის მიწების ქვა-კაცზე გამოსახულია პარალელური პირიანი, ბოლოში გაფართოებულ ქარქაშიანი სატყვრები. მიუხედავად მათი ზედა ნაწილის დაზიანებისა, ჩვენი აზრით, ისინი შესაძლებელია მივაკუთვნოთ სკვითური ტიპის აკინაკებს. ეს სატყვრები თავისი ფორმით ახლოს დგანან კლასიკური სკვითური ტიპის, მელგუნოვსკის და კელერმესის ყორდანებში აღმოჩენილ აკინაკებთან (ტაბ. № II, ა).

სატყვრების გვერდით ზეიანის ქვა-კაცს გამოსახული აქვს ცული. ქვა-კაცებზე ცულის გამოსახვა, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათია. ისინი გვხვდება არქაულ გამოსახულებებზე, სარტყელზე ტარით ძირს ჩამოკიდებული. უძველეს ავტორთაგან ძალიან ცოტა ასახულებს ცულს სკვითურ იარაღებში. პეროდოტე ორჯერ იხსენიებს მას. ერთხელ, როდესაც მოგვითხრობს სკვითურ ჩვეულებაზე<sup>5</sup>, მეორედ — ძველი სკვითური ლეგენდის გადმოცემისას: ოქროს ცული შედიოდა მეფისთვის ცით მოვლენილ რეგალიებში<sup>6</sup>.

მთლიან წარმოდგენას ცულებზე გვაძლევს არქეოლოგიური გათ-

<sup>1</sup> მელიუკოვა ა. ი. დასახ. ნაშრ. გვ. 60.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>4</sup> Черненко Е. В., Скифия и Кавказ, К., 1980, ст. 17.

<sup>5</sup> პეროდოტე, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 252.

ხრები. დღეისათვის მიკვლეულია რკინის ცულების დაახლოებით ოცდაათი ცალი, რომელთა უმეტესობა ტყე-სტეპის ზონის ყორღანებშია ნაპოვნი.<sup>1</sup> სხვა იარაღებისაგან განსხვავებით, მშალიან იშვიათი შემთხვევაა, როცა ცული ნაპოვნია უშუალოდ სამარხში (მიცვალებულთან). ამ დროს იგი ყოველთვის მარჯვენა მხარეს დევს. ე. ი. მელიუკოვას აზრით, ეს იშვიათობა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ცულს სამარხში აყოლებდნენ მხოლოდ მუფუს ან ბელადს, ე. ი. ცული სოციალური პოზიციის მაჩვენებელია.<sup>2</sup>

სკვითურ ცულებს ა. ი. მელიუკოვა ორ ჯგუფად ჰყოფს: 1. სოლისებური ცული, მასიური ოთხწახნაგა ყუით; 2. მსუბუქი ხელჩაქურები<sup>3</sup>. პირველი ტიპის ცულები იყოფა ორ ჯგუფად: 1. სოლისებური სწორი ზურგით; 2. ზურგზე ნახევარწრისებური ამონაჭერით (ტაბ. № II, ბ).

ზეიანის ქვა-კაცზე გამოსახული ცული პირველ ტიპს მიეკუთვნება. იგი სოლისებური ფორმისაა, სწორი ზურგი აქვს. სიგრძე — 13 სმ., სიგანე — ყუის 2 სმ., პირის — 4 სმ. ტარის სიგრძე — 23 სმ. ასეთი ტიპის ცული მეტად იშვიათი არქეოლოგიური მონაპოვარია და მათი უმეტესობა ძვ. წ. ა. VI საუკუნით თარიღდება. გვხვდება ძვ. წ. ა. V საუკუნის პირველ ნახევარშიც<sup>4</sup>.

ჩვენი აზრით, ზეიანის მიწების ქვა-კაცზე ამოკვეთილი ნივთებიდან ყველაზე საყურადღებო არის კაპარჭი კურდღლის გამოსახულებით (ტაბ. №1, გ). კაპარჭი მოგრძო ფორმისაა, მარჯვენა სწორი მხრით და ბოლოში მომრგვალებული მარცხენათი. მარცხენა მხარეს ზემოთ ოდნავ განივრდება. სიგრძე 46 სანტიმეტრია, სიგანე ზევით 20 სმ., ქვევით — 17 სმ., ეს ფორმა კლასიკური გახდა სკვითურ ყორღანებში ნაპოვნი და მატერიალური კულტურის ძეგლებზე გამოსახული კაპარჭების მიხედვით<sup>5</sup> (ტაბ. № II, გ).

სკვითური კაპარჭები მზადდებოდა ხისგან, ტყავისაგან ან ტყავ-გადაკრული ხისგან. ამიტომ არქეოლოგიური გათხრებისას მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაშთებს ხვდებოდნენ. წლების მანძილზე უცნობი იყო მათი ფორმა და ერთადერთ მასალას გამოსახულებები წარმოადგენდა. ამჟამად აღმოჩენილია რამდენიმე კაპარჭი, უფრო სწო-


<sup>1</sup> გ რ ა კ ო ვ ი ბ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

<sup>2</sup> მ ე ლ ი უ კ ო ვ ა ა. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 66.

<sup>4</sup> ი ქ ვ ე, გვ. 66.

<sup>5</sup> Черненко Е. В., Скифские лучники, К. 1967, ст. 67.



რად, მათი შესამკობი ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ფორ-  
ფიტები, რომლის მიხედვითაც დადგენილი იქნა კაპარტთა ფორმის  
მაგრამ კაპარტების შემკობა ძვირფასი ლითონებით შედარებით  
უფრო გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის.<sup>1</sup> აღრეული ხანის კაპარტების  
შესახებ ცნობები შემორჩენილი არ არის.

ზემოთ აღნიშნული კლასიკური ფორმით ხასიათდება კაპარტები  
კარაგოდუშხადან, სოლოხის ყორღანიდან, მელიტოპოლსკის ყორ-  
ღანიდან, რომლებიც ძვ. წ. ა. IV საუკუნით თარიღდება.<sup>2</sup> კაპარტების  
სიგრძე დაახლოებით 43—47 სანტიმეტრია, სიგანე — 25—26 სან-  
ტიმეტრი<sup>3</sup>.

ვ. ი. მურზინი აღნიშნავს, რომ ასეთი ტიპის კაპარტები გამო-  
ხატულია სკვითამდელი პერიოდის მთელ რიგ სტელებზე. ეს, მისი  
თქმით, იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთი ტიპის კაპარტი იყო არა  
საკუთრივ სკვითური, არამედ საერთო-ვვრაზიული, მომთაბარული  
დეტალი საჭურველისა<sup>4</sup>.

სკვითური კაპარტები, როგორც საერთოდ სკვითური კულტურის  
ძეგლები, შემკული იყო ორნამენტებით. სკვითური კულტურისათ-  
ვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია ცხოველური სტილის ორნა-  
მენტები. ეს სტილი სკვითებში ამიერკავკასიასა და წინა აზიაში  
მომრავობის შედეგად უნდა იყოს შექმნილი<sup>5</sup>. ამის უპირველესი  
დადასტურებაა ის, რომ ცხოველური სტილი სამხრეთ რუსეთის  
და უკრაინის ველებში შემოდის უცებ, უკვე დასრულებული სახით<sup>6</sup>.  
თანაც ეს ხდება ძვ. წ. ა. VI საუკუნეში, ე.ი. წინა აზიაში მიგრაციების  
შემდეგ<sup>7</sup>.

ცხოველურ გამოსახულებებს ჰქონდა არა მხოლოდ დეკორატი-  
ული, არამედ მაგიური, თავდაცვითი მნიშვნელობაც<sup>8</sup>. სკვითურ  
ძეგლებზე ბალახის მჭამელთაგან გავრცელებული იყო ირმის, ლო-

<sup>1</sup> ნერენკო ე. ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 76—77.

<sup>3</sup> მელიტოპოლი ა. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

<sup>4</sup> Мурзин В. Ю., Скифская архайка Сев. Причерноморья, К., 1984, ст. 70.

<sup>5</sup> ავალიშვილი გ. ბ., ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974, თხ. გვ. 101.

<sup>6</sup> Черников С. С., Загадки Золотого Кургана, М., 1965, ст. III.

<sup>7</sup> ავალიშვილი გ. ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

<sup>8</sup> გრაკოვი ბ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

სის, გარეული თხის, იშვიათად კურდღლის გამოსახულებაც. ცხოველები, ჩვეულებრივ, გამოხატულნი არიან ნახტომის მომენტში, მაგრამ არსებობს მშვიდ მდგომარეობაში მყოფი ცხოველის გამოსახულებაც<sup>1</sup>. ზეიანის მიწების ქვა-კაცის კაპარტზე გამოსახული კურდღელი ზის უკანა ფეხებზე და ნახევრად ზურგითაა მიბრუნებული.

სკვითური მატერიალური კულტურის ძეგლებზე რამდენჯერმე გვხვდება კურდღლის მოტივი. მაგალითად, მელიტოპოლისკის ყორღანზე ნაპოვნი კაპარტის შესამკობ ფირფიტაზე გამოსახულია უამრავი ცხოველური სტილის ნახატი, რომელთა შორის რამდენჯერმე გვხვდება კურდღელი<sup>2</sup>. აღექსანდროვის ყორღანში აღმოჩნდა აბზინდა. მასზე გამოსახული სკვითი ჭენებით მისდევს კურდღელს. ამის მსგავსია აბზინდა კულტ-ობეიდან, რომელზეც სკვითი შუბით გმირავს კურდღელს<sup>3</sup>. ეს სცენები, როგორც ბ. ი. გრაკოვი აღნიშნავს, თითქოს ეხმიანება პეროდოტეს ლეგენდებს და იმეორებს მის მონათხრობს, თუ როგორ გაიტაცა სკვითები კურდღელზე ნადირობამ სპარსელებთან ბრძოლის დროს<sup>4</sup>.

ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ ზეიანის მიწების ქვა-კაცის ყელზე შემოვლებული აქვს 6-8 სმ სიგანის კარგად დამუშავებული, მასიური, დანაყოფებიანი კირკალი. ასეთი ტიპის კირკალები („ГРИБНЫ“) სკვითური წარმოშობისაა<sup>5</sup>. მსგავსი კირკალებით შემკულია ქვა-კაცების უმრავლესობა. მისი არსებობა ზეიანის მიწების ქანდაკებაზე კიდევ ერთი არგუმენტით ადასტურებს გამოსახულების სკვითურობას.

ჩვენი აზრით, ზეიანის მიწების ქვა-კაცი მასზე გამოსახული იარაღების ტიპის ანალოგიებზე დაყრდნობით ძვ. წ. ა. V საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დავათარილოთ.

<sup>1</sup> გ რ ა კ ო ვ ი ბ. ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

<sup>2</sup> ჩ ე რ ნ ე ნ კ ო ე. ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

<sup>3</sup> გ რ ა კ ო ვ ი ბ. ბ., დასახ., ნაშრომი, გვ. 103.

<sup>4</sup> პ ე რ ო დ ო ტ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

<sup>5</sup> გ რ ა კ ო ვ ი ბ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

### ვის გამოსახავს სკითური ქვა-კაცები

მკვლევრებს ძველთაგანვე აინტერესებდათ, ვინ იყვნენ გამოსახულნი სკითურ ქვა-კაცებზე. მათი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ქვა-კაცები გამოხატავდნენ ღმერთს ან გმირს. სხვანი თვლიდნენ, რომ ეს დაღუპული წინაპრის თუ მეფის, ან მოკლული მტრის ქანდაკება იყო.

პ. ნ. შულცის აზრით, რაიმე ერთნაირი მოსაზრება არ შეიძლება გავრცელდეს ყველა ქანდაკებაზე. მაგალითად, უძველესი ხანის სკვითურ გამოსახულებებში უფრო ძლიერი იყო გმირი-მამამთავრის სახე. მოგვიანო ხანისათვის წარმოიქმნა ქვა-კაცები, რომლებიც მხედართმთავარ-ბასილევებს გამოხატავდნენ<sup>1</sup>. სკვითური ქვა-კაცის იშვიათი აღმოჩენა, იმ პირთა შეზღუდული რაოდენობა, ვისაც უღვამდნენ მსგავს სტელებს და, აგრეთვე, ამ გამოსახულებათა ხასიათი მანიშნებელია ქანდაკებათა განსაკუთრებული მნიშვნელობისა<sup>2</sup>.

ქვა-კაცები გვხვდება როგორც ძლიერ მოხუცებულთა, ასევე ახალგაზრდა მეომართა სამარხებში (კრასნი პოდოლი, ყორღანი №2, სამარხი III)<sup>3</sup>. ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ეს გამოსახულებები გაღმერთებული გმირი-წინაპრის კულტს უკავშირდება, ამასთანავე, მასში შერწყმულია მიცვალებულის ინდივიდუალური ნიშნები.

ადრეული თუ მოგვიანო პერიოდის თითქმის ყველა ქანდაკებას გააჩნია მუდმივი ატრიბუტები: იარაღი — სიმბოლო საომარი ძლიერებისა; რიტონი — სიმბოლო საკრალური ხელისუფლებისა (ყველგან არ გვხვდება); ფალოსი — სიმბოლო ღვთიური მამამთავრისა, (ადრეულ სტელებზე)<sup>4</sup>. ესაა ჩამოყალიბებული სახე გმირი-

<sup>1</sup> Шульц П.Н., Скифские изваяния Причерноморья. Античное общество, М., 1965, ст. 226.

<sup>2</sup> Елагина Н.Т., Скифские антропоморфные стелы Краснониколаевского музея, СА 1959, № 2, ст. 195.

<sup>3</sup> Бессонова С.С., Религиозные представления скифов, К., 1983, ст. 63.

<sup>4</sup> იქვე გვ. 65.

წინაპრისა, დამცველისა, სადაც დაცვის ფუნქცია, ალბათ, ყველაზე მთავარი იყო (იარაღი ყველაზე მეარი ელემენტია)<sup>1</sup>.

წინაპრის, გმირის, ბელადის კულტი განსაკუთრებული მალღობრით არსებობდა სკვითებში<sup>2</sup>, რომელნიც ამაყობდნენ თავიანთი წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი საფლავებით. სკვითების მეფე იდანთირსოსი უთვლის დარიოსს: „თუ თქვენთვის აუცილებელია ომში ჩაბმე, ჩვენ გვაქვს მამაპაპათა სამარხები. მოდით, მოძებნეთ ისინი, შეეცადეთ მათ დანგრევას და მაშინ შეიტყობთ შეგებრძოლებით ამ სამარხების გამო, თუ არ შეგებრძოლებით“<sup>3</sup>.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო გმირის კულტი, რომელშიც შედიოდა თავყვანისცემა როგორც გენეოლოგიური გმირ — მამამთავრისა, ისტორიულ და ნახვერად მითიური პიროვნებისა, ასევე გარკვეული გვარის რეალური წინაპრისა.

წინა აზიაში გავრცელებულმა წარმოდგენამ მეფური ხელისუფლების ღვთიურ წარმოშობაზე ანარკლი პოემა სკვითურ კულტურაშიც<sup>4</sup>. სკვითთა ღვთაებრივი წინაპარი, მათი გმირი — მამამთავარი ადგილობრივი წარმოშობის ლკენდის მიხედვით არის ტარგიტაოსი<sup>5</sup>. ტარგიტაოსი იყო ზვესისა და მდინარე ბარისტენესის ასულის შვილი. მას სამი ვაჟი ჰყავდა: ლიპოქსაისი, არპოქსაისი და კოლაქსაისი. მათი მმართველობის პერიოდში ციდან ჩამოცვივდა გუთანის, უდელი, ცული და ჯამი. პირველი ორი ძმის მიახლოებისას ამ ნივთებს ცეცხლი წაეკიდა. მხოლოდ უმცროსმა — კოლაქსაისმა შეძლო მათი აღება. ძმებმა მისი უპირატესობა ცნეს და ერთმმართველ მეფედ აღიარეს<sup>6</sup>.

პეროლოტი მოგვითხრობს ლკენდის მეორე, ელინურ ვარიანტსაც, სადაც ტარგიტაოსის ადგილს ჰერაკლე იჭერს<sup>7</sup>. სკვითურ მითებში ჰერაკლე გვევლინება გველისფეხება ქალღმერთის ქმრად, რომელსაც ჰერაკლესაგან სამი შვილი შეეძინა — პგათირსოსი, გელანოსი, სკვითესი. წასვლისას ჰერაკლემ ქალღმერთს თავისი მშვილდი, ოქროს ფიალაგამომბული სარტყელი დაუტოვა და დაუ-

<sup>1</sup> ბესონოვა ხ. ს., დასახ. ნაშრ. გვ. 65.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 64—65.

<sup>3</sup> პეროლოტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

<sup>4</sup> ელაგინა ნ.ტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

<sup>5</sup> პეროლოტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 253.

ბარა: „რომელი მათგანიც შეძლებს ამ მშვილდის მოწვევას და სარტყლის ამნაირად შემორტყმას, ის გახადე ამ ქვეყნის მცხოვრები, ხოლო ის, ვინც ამას ვერ შეძლებს, გაგზავნე ამ ქვეყნიდან...“<sup>1</sup> ჰერაკლეს დავალების შესრულება უმცროსმა ვაჟმა სკვითესმა შეძლო და ამრიგად ის გახდა სკვითების პირველი მეფე<sup>1</sup>.

მითები ჰერაკლეს შესახებ გავრცელებული იყო არა მარტო ანტიკურ სამყაროში, არამედ სხვადასხვა არაბერძენ ხალხში, რომელნიც ცდილობდნენ იგი თავის წინაპრად ჩაეთვალათ<sup>2</sup>. ამიტომაც ბერძნულ არქაულ ხელოვნებაში გვხვდება ლომისტყავმოსხმული ჰერაკლეს გამოსახულება ბარბაროსის ტანსაცმელში ( ღურისის ლარნაკი). ჰერაკლეს გამოსახულება გვხვდება სკვითურ-ბერძნულ ხელოვნებაშიც (ჩერტომლიკის, მორდვინოვსკის, შულგოვკას ყორღანები, ზემო როგანიე, კულტ-ობეი)<sup>3</sup>. ჰერაკლე აქ წარმოდგენილია, როგორც სკვითი მეფეების მამამთავრის ტარგიტაოსის შემცველი, რომელსაც გმირ გოლიათად გამოსახავდნენ<sup>4</sup>.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე მკვლევართა უმრავლესობა ასკვნის, რომ იგივე ჰერაკლე-ტარგიტაოსის სახეა გამოსახული სკვითურ ქანდაკებებზე. თუმცა ვ. ა. ილინსკაია და ა. ი. ტერენოვინი თვლიან, და ეს უფრო დამაჯერებელია, რომ აქ არის გამოსახული არა ჰერაკლე-ტარგიტაოსი, არამედ მისი შვილი სკვითეს-კოლაქსაისი, სკვითების პირველი მეფე<sup>5</sup>, რადგან, ლევენდის თანახმად, სწორედ მას ეუთვნოდა ქვა-კაცებზე გამოსახული სამეფო რვალიები.

სკვითურ კულტურაში ანტიკური გაულენის გაძლიერებასთან ერთად იცვლება როგორც ქვა-კაცის გარეგნული სახე, ასევე მასზე გამოსახული ატრიბუტები. მაგალითად, ცული, რომელიც მოხსენებულია ადრინდელ სკვითურ ლევენდაში და აღარ არის დასახელებული მის ბერძნულ ვარიანტში, აღარ გვხვდება გვიანი ხანის ძეგლებზე<sup>6</sup>.

<sup>1</sup> პ ე რ ო დ ო ტ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 253

<sup>2</sup> Ал т а м о н о в М. И., Антропоморфные божества в религии скифов, Арх. Сборник, в. 2, 1961, ст. 79.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე.

<sup>4</sup> Граков Б.И., Скифский Геракл, КСИИМК XXXIV. 1950, ст. 12.

<sup>5</sup> Ильинская В.А., Тереножкин А.И., Скифия VII—IV вв. до н.э. 1983, ст. 73.

<sup>6</sup> შ უ ლ ც ი პ ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

საინტერესოა, რომ აკინაკი არ არის დასახლებული ლეკენ-  
დის არცერთი ვარიანტის რეკალიებში, ამასთანავე იგი გამოსა-  
ხულია ყველა სტელაზე.

ნ.ტ. ელაგინა თვლის, რომ აკინაკი არ იყო მეფის ძალაუფლე-  
ბის სიმბოლო. ამ იარაღის გამოსახვის მიზეზი ქანდაკებებზე, მი-  
სი აზრით, გაპირობებულია სატევრის განსაკუთრებული, თვით-  
მყოფადი კულტით სკვითურ რელიგიურ ცხოვრებაში<sup>1</sup>. ამ კულტის  
ხასიათი და შინაარსი დაეხმარა პეროდოტეს გაეიგივებინა ეს ფე-  
ტიში ბერძნულ ომის ღმერთთან<sup>2</sup>.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ უჭირავს  
აკინაკს ცენტრალური ადგილი ქვა-კაცების ატრიბუტებში. ეს იყო  
საომარი ძლიერების სიმბოლო, რომელიც ყველაზე მნიშვნელო-  
ვანია მომთაბარე, მეომარი ხალხისათვის.

### თავი III

#### სკვითური ქვა-კაცების კლასიფიკაცია

ქვა-კაცების კულტი უძველესი დროიდან მოდის — დაწყებული  
ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეებით დამთავრებული. მიუხედავად  
უდიდესი ქრონოლოგიური და სტილისტური სხვაობისა, სხვადას-  
ხვა პერიოდის ქვა-კაცებს შორის არის რაღაც საერთო. თავისთა-  
ვად ფაქტი მათი სამარხებზე აღმართვისა, დიდი საკულტო მნიშვნე-  
ლობა, სხვადასხვა ხალხის მიერ მათი თაყვანისცემა და ის, რომ  
ქვა-კაცები დამახასიათებელი იყო მომთაბარე ხალხისათვის, აზუს-  
ტებს მათ მსგავსებას.

პ.ნ. შულცის აზრით, სკვითური ქვა-კაცები გენეტიკურად დაკავ-  
შირებულია ბრინჯაოს ხანის ანტროპომორფულ სტელებთან, მაგ-  
რამ მათთან შედარებით საგრძნობლად განვითარებულნი არიან<sup>3</sup>.  
ვ.ი. მურზინი თვლის, რომ ანტროპომორფული სტელები წარმოიშ-  
ვა ევრაზიის სამხრეთ რაიონებში ე.წ. „ირმის ქვების“ ევოლუციის  
შედეგად, რომლის სემანტიკის საფუძველია ანტროპომორფული ხა-

<sup>1</sup> ე ლ ა გ ი ნ ა ნ ტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე.

<sup>3</sup> შ უ ლ ც ი პ. ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 236—237.

სიათი. ამის დამამტკიცებელ საბუთად ვ.ი. მურზინი მიიჩნევს ახლად აღმოჩენილ „ირმის ქვებს“, რომლებიც დიდი ანტროპომორფულობით გამოირჩევა<sup>1</sup>.

ტერიტორიულად სკვითური ქანდაკებები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: ბუგო-დნეპრის, დუნაისპირა, ყირიმის, დონეცკის, დონის, ყუბანისპირა, ჩრდ: კავკასიური; არის კიდევ რამდენიმე ქვა-კაცი, რომელიც სკვითებს მიახლოებით მიეკუთვნება<sup>2</sup>.

მკვლევრები მათ სხვადასხვაგვარად უწოდებენ: სტელები, ქვა-კაცები, ქანდაკებები. ამასთანავე არ არსებობს ერთიანი აზრი მათ აბსოლუტურ დათარიღებაზე. ბ.ი. გრაკოვი, ა.ი. მელიუკოვა, ნ.ტ. ელაგინა თვლიან, რომ ეს სკულპტურები ძვ. წ. ა. V საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდნენ. მ.ი. ალტამონოვი კი აღნიშნავს, რომ კრასნოდარის სტელა ეკუთვნის ძვ. წ. ა. V საუკუნის პირველ ნახევარს და წარმოადგენს უძველეს ანტროპომორფულ სახეს სკვითურ ხელოვნებაში. ვ.ა. ილინსკაია არ ეთანხმება მათ და მიიჩნია, რომ ეს გამოსახულებები კიდევ უფრო ადრეულ ხანაში, კერძოდ, ძვ.წ. ა.VI საუკუნეში წარმოიშვნენ. პ.ნ. შულცი იზიარებს ამ აზრს და თავის ნაშრომში ეყრდნობა სკვითური ქვა-კაცების ამ ქრონოლოგიას<sup>3</sup>.

ჩვენი დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ტერიტორიულ უჯრედზე აღმოჩენილ ქანდაკებებს ახასიათებს ინდივიდუალური ნიშნები, მათში საერთო უფრო მეტია. ამასთანავე, ისინი მსგავს ცვლილებებს განიცდიან დროთა განმავლობაში სკვითების ეთნომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად.

პ.ნ. შულცი სკვითურ ქვა-კაცებს ყოფს ადრეულ (ძვ. წ. ა. VI—V საუკუნის პირველი ნახევარი), შუა (ძვ.წ. ა.V საუკუნის მეორე ნახ., — IV საუკუნის დასაწყისი) და გვიანი (ძვ. წ. ა. IV—III საუკუნე) პერიოდის ქანდაკებებად. ადრეული ტიპის ქანდაკებებიდან პ.ნ. შულცი გამოყოფს სოფ. ნადეჟდასთან აღმოჩენილ ქანდაკებას. მასალა ადგილობრივი კირქვა, ბრტყელი რელიეფი, ქამარი ოდნავაა აღნიშნული. ფიგურის ცენტრში გამოსახულია ირიბად ჩამოკიდებული არქაული ტიპის აკინაკი. მარცხენა თეძოსთან გამოხატულია კაპარტი. გაშიშვლებული ფალოსი მიუთითებს ქანდაკების რიტუა-

<sup>1</sup> მურზინი ვ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>2</sup> შულცი პ. ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

<sup>3</sup> იქვე.

ლურ მნიშვნელობაზე. აკინავის ტიპის მიხედვით ქვა-კაცი ძვ. წ. ა. VI საუკუნის მეორე ნახევრის ან V საუკუნის პირველი ნახევრის უნდა იყოს<sup>1</sup> (ტაბ. №111).

არქაული ტიპის ქვა-კაცებში ძნელი არ არის ფალოსის გამოსახულებიანი ქანდაკებების გამოყოფა. ასეთია გრანიტის ქანდაკება ს.სტანიშინოდან, რომელზეც გამოსახულია ძვ.წ.ა.VI ს. აკინავი, აქვს მასიური, დანაყოფებიანი კირკალი, მარჯვენაში უჭირავს რიტონი; მარჯვენა თეძოზე ჰკიდია ცული, მარცხენაზე — კაპარტი. თავი მკვეთრად არ არის გამოყოფილი სხეულიდან<sup>2</sup> (ტაბ. №111).

ამავე წრეს ეკუთვნის სიბიოთარაში აღმოჩენილი სტელა. სილუეტით იგი სტანიშინოს სტელას ჰგავს, მაგრამ დეტალები მასზე გადმოცემულია არა ჭრით, არამედ რელიეფით. ყურები და ცხვირი წინ წამოწეულია, პირი ჩაღრმავებული, აქვს მასიური დანაყოფებიანი კირკალი. მარჯვენა ხელში უჭირავს მათრახი, მარცხენაში — სალესი ქვა. მარცხნივ ქამარზე მიმაგრებული აქვს ცული, მარჯვნივ — კაპარტი. სტელა აკინავის ფორმის მიხედვით ძვ. წ. ა. VI—V საუკუნეს მიეკუთვნება<sup>3</sup> (ტაბ. №111).

სოფელ გრუშეკვაში ნაპოვნი ქანდაკება გარეგნულად სიბიოთარას ქვა-კაცის მსგავსია. ქამარზე ირიბად ჰკიდია აკინავი, რომლის მიხედვითაც ქვა-კაცი ძვ. წ. ა. VI საუკუნით თარიღდება. ფალოსის გამოსახულება უკვე აღარ გვხვდება<sup>4</sup>.

სკვითური ქვა-კაცებიდან საერთო ნიშნებით გამოიყოფა ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ჩეჩენ-ინგუშეთში ნაპოვნი ძველები: სოფ. ბეტი-მობკიდან, მესკეტიდან, ზამნი-ურტიდან, გალაიტიდან, რომლებიც ძვ. წ. ა. VI—V საუკუნით თარიღდებიან<sup>5</sup> (ტაბ. №IV).

მათ აერთიანებთ შესრულების მანერა, სახის ფორმის ანალოგიური გამოსახვა (წამახვილებული ოვალის ბეტი-მობკის და გალაიტის სტელაზე); ოთხივე სტელაზე ხელები სიმეტრიულადაა დაკრეფილი მუცელზე. აკინავი გალაიტის სტელაზე თავისი ფორმით და განლაგებით ახლოა მესკეტის სტელის, გამოსახულებას-

<sup>1</sup> შულცი პ.ნ., დახახ. ნაშრომი, გვ. 227.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> შულცი პ.ნ., დახახ. ნაშრომი, გვ. 227.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 230

<sup>5</sup> Марковин В. И., Мунчаев Р. М., Каменные изваяния из Чечено-Ингушетии., Сл. № I, 1964. ст. 158—159.

თან. მესკეტის, ზამნი-ურტის, სტელების მკერდზე გვხვდება ორი პატარა წრის გამოსახულება. ეს ალბათ აბჯრის დეტალია<sup>1</sup>. მესკეტის ქანდაკებანი მკვეთრად განსხვავდებიან ჩრდილო დასავლეთის მკვეთრ-კასიაში და დონის აუზში აღმოჩენილი ქვა-კაცებისაგან, რომლებიც უფრო მასიურნი, უფრო დიდი ოსტატობით შესრულებულნი არიან. ერთ ჯგუფში ერთიანდება ჩრდილო კავკასიური ქვა-კაცები. მათ შორისაა ს. კლიზავეტინსკაიასთან ა.ა. მილერის მიერ აღმოჩენილი ქანდაკება. მასალა კირქვაა. მასზე გამოსახულია სატევარი, რიტონი, კაპარჭი<sup>2</sup>. ვ.ა. ილინსკაია და ა.ი. ტერენოჟკინი ამ სტელას ძვ. წ.ა. VI საუკუნით ათარიღებენ<sup>3</sup> (ტაბ. №IV). ამ ჯგუფში შედის სპესკობნაიაში აღმოჩენილი ქვა-კაცი, რომელსაც პ.ნ. შულცმა „საკუთრივ სკვითური“ უწოდა. მისი ატრიბუტებია: კირკალი, ქამარი, აკინაკი, კაპარჭი, ცული. შეიარაღების მიხედვით ძვ. წ. ა. VI საუკუნე უნდა იყოს<sup>4</sup> (ტაბ. № IV).

ვ.ი. მურზინი გამოყოფს ჩრდ. შავიზღვისპირულ ქვა-კაცებს: კალინოვსკის, ტერნოჟკის, ნოვოვასილევსკის, მერედოვას სტელებს და აღნიშნავს, რომ მათი თავისებურებებია: წაგრძელებული პროპორციები, კარგად დამუშავებული ატრიბუტები, რომელთა შორისაც აუცილებელია რიტონი (ტაბ. №V). ვ.ი. მურზინი ამ სტელებს ძვ. წ. ა. V საუკუნით ათარიღებს<sup>5</sup>. ასევე ათარიღებენ მათ ვ.ა. ილინსკაია და ა.ი. ტერენოჟკინი<sup>6</sup>.

ამრიგად, უძველესი ხანის სკვითური ქანდაკებების წრეში შედის სხვადასხვა ტერიტორიის და სხვადასხვა ტიპის ძეგლები: ფალოსით, მის გარეშე, რიტონით, ურიტონოდ, სიმეტრიულად და არასიმეტრიულად დაწყობილი ხელებით, განსხვავებული დამუშავების ტექნიკით, მასალით (გრანიტი, ქვიშაქვა, კირქვა). მათში დომინირებს სახე წინაპარ-მამამთავრისა და არ იგრძნობა ანტი-

<sup>1</sup> Мадковин В. И., Мунчаев Р. М. Каменные изваяние из Чечено—Ингушети., Сл, № 1, 1964. ст. 158—159.

<sup>2</sup> Миллер А.А., Новый источник к изучению связи Скифии с Кавказом. Известия РАИМК, т. IV, л. 1925, ст. 104.

<sup>3</sup> Ильинская В. А., Тереножкин А. И., Скифия VII—IV в.в. до н.э., К. 1983, ст. 72.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Мурзин В.Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

<sup>6</sup> Ильинская В. А., Тереножкин А. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 104.


კურობის გავლენა, ხასიათდება მონუმენტურობით, უხეში, პრიმიტიული კვეთით.

შუა პერიოდის ქანდაკებები თავიანთი სტილით, პროპორციით თუ შინაარსით განსხვავდებიან ძველისაგან. ასეთია მაგალითად, ყირიმში ჩერნომორსკთან აღმოჩენილი ქვა-კაცი<sup>1</sup>. ამ ქანდაკებაზე მკვეთრად არის გამოხატული სილამაზის ახალი იდეალი სკვითებში. მასიურობის მაგიერ მაღალი გაშლილი მხრები, ვიწრო წელი, ფალოსი სრულიად გაქრა<sup>2</sup> (ტაბ. №VI). ეს უკვე აღარ არის მამამთავრის ქანდაკება, არამედ გამორადქცეული მხედართმთავარია, რომლის იარაღები უკვე კონკრეტული, ინდოიდულური ნაშრომით ხასიათდება. ხელები ტანიდან გამოყოფილია, მაგრამ მაინც დომინირებს რელიეფური პრინციპი<sup>3</sup>. ამ ტიპის ქანდაკებები პარადულობას გამოხატავენ, რაც სკვითებმა, პ.ნ. შულცის აზრით, წინა და მცირე აზიაში ლაშქრობისას შეითვისეს<sup>4</sup>.

გვიანი ხანის სკვითური ქვა-კაცებიდან პ.ნ. შულცი ახასიათებს ჩერნომორსკის ახლოს 1929 წელს აღმოჩენილ ქანდაკებას. ამ გამოსახულების ფორმები მომრგვალებულია, მასში გაცილებით მეტია სკულპტურული ელემენტი, რაც ბერძნულ გავლენაზე მიანიშნებს<sup>5</sup>. აქვს ვიწრო წელი, განიერი ბეჭები, მარჯვენა ხელით გულში იკრავს პატარა, სკვითური ტიპის ტულას. ყელზე ახვვია სამმაგი ყელსაბაში. აცვია შარვალი, პერანგი; ზურგი დაფარული აქვს განიერი მოსასხამით. მარჯვენა მხარე, სადაც ალბათ აკინაკი ეკიდა; დაზიანებულია<sup>6</sup> (ტაბ. №VI). ამ ქანდაკებაში სამხედრო ძლიერება გამოხატულია არა მარტო მძიმე შეიარაღებით, არამედ მხარბეჭით, სხეულის ელასტიური, გავარჯიშებული ფორმებით<sup>7</sup>. სილუეტით და ფიგურის პროპორციით ეს ქვა-კაცი კერკინტიდან მონეტებზე გამოსახულ დამჯდარ სკვითს ჰგავს (ძვ. წ. ა.IV—III ს.ს.)<sup>8</sup>. ამ ხანის ქვა-კაციები ძალიან ცოტაა. მათი ფორმები დასრულე-

<sup>1</sup> შულცი პ. ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 231.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 232-233.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 232.  
<sup>4</sup> იქვე.  
<sup>5</sup> შულცი პ. ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 233.  
<sup>6</sup> იქვე.  
<sup>7</sup> იქვე, გვ. 234.  
<sup>8</sup> იქვე.

K 214.360



ბულია, მაგრამ ისინი მაინც წინიდან შეხედვისთვის არის განკუთვნილი. ზოგიერთ მათგანს აქვს ბაზა. ჩნდება მუზარადებიც, რაც ადრე იშვიათად იყო<sup>1</sup>.

ამგვარად, სკვითური ქვა-კაცები ვოლუცის გზით გმირი-მამამთავრის სახიდან მივიდნენ მხედართმთავარ-ბასილევსის გამოსახულებამდე; ქვის სტელებიდან გადაიქცნენ ქანდაკებებად. გაჩნდა პორტრეტიზაციის ელემენტი, რაც ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. V—IV საუკუნის სტელებში აღინიშნება (ტერმოვკა, ალხოვჩიკის სტელები)<sup>2</sup> (ტაბ. № V).

ზეიანის მიწებზე აღმოჩენილი ქვა-კაცი, ჩვენი აზრით, ადრეული ხანის სკვითურ სტელებს მიეკუთვნება. გარეგნულად იგი შედარებით ახლოს დგას ჩრდილოეთ კავკასიური ტიპის ქვა-კაცებთან (ს. ელიზავეტინსკაია, საალის ოლქი, ბესკობნაია). მსგავსება გამოიხატება კვეთის მანერაში, გარეგნულ ფორმაში, გამოსახულ ატრიბუტებში. მთავარი და ძირითადი განსხვავება აკინაკში მღვთმარეობს. ჩრდილოეთ-კავკასიურ ქვა-კაცებს აკინაკი წინა მხარეს აქვთ გამოსახული; ზეიანის მიწების ქვა-კაცს მარჯვენა მხარეს უკიდია, თანაც ერთბაშად ორი ცალი, რაც უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს.

## თავი IV

### სკვითები ამიერკავკასიაში

მიგრაციული თუ კულტურულ-ეკონომიკური სწრაფვა სამხრეთ რუსეთის და უკრაინის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებისა ამიერკავკასიის, ბალკანეთისა და წინა აზიისაკენ ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. I ათასწლეულის დასაწყისში ჩანს<sup>3</sup>.

სკვითების ლაშქრობაზე ამიერკავკასიისა და წინა აზიაში უამრავი აზრია გამოთქმული. ჰეროდოტე გადმოგვცემს, „რომ სკვითე-

<sup>1</sup> შულცი ბ. ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ავალიშვილი გ. ბ., ქვემო ქართლი ძვ., წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974, მსუ, გვ. 91.

ბი აზიაში შეიჭრნენ მათ მიერვე ვეროპიდან განდევნილი კიმერელები კვალდაკვალ და ამგვარად გაქცეულებს დადევნებულენ<sup>1</sup>.  
ბი მივიდნენ მიდიის მიწამდე<sup>1</sup>.

ე.ი. კრუპნოვის აზრით, სკვითები წინა აზიაში შეიჭრნენ ოთხი მარშრუტით: 1. მეოტო-კოლხური; 2. მამისონის უღელტეხილი; 3. დარიალის უღელტეხილი; 4. დერბენდის უღელტეხილი<sup>2</sup>. აქედან მთავარი და ძირითადი, ე.ი. კრუპნოვის აზრით, მეოთხე მარშრუტი იყო, ჩრდილოეთ მთავრეხილების გაყოლებით კავკასიონის ქედის და დერბენდის უღელტეხილის გავლით<sup>3</sup>. ეს დასტურდება როგორც ისტორიული წყაროებით (პეროდოტე), ასევე არქეოლოგიური მასალით<sup>4</sup>.

გ.ავალიშვილი აღნიშნავს, რომ სკვითური ტაღლების ნაშთები და გზა, რომლითაც მათ წინა აზიაში შეადწიეს, უნდა მდებარეობდეს ისეთ ადგილებში, რომლებიც თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოთი ახლოს დგას სამხრეთ რუსეთის ველებ ან. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ეს ადგილები უნდა იყოს ზღვისპირა დაღესტნიდან დაწყებული, შემახის და გეოქჩაის რაიონები, მინგეჩაური, შირაქის ველი, მარნეულის ვაკე და ჯანდარას ტბის მიდამოები, კიროვობადი, აგდამი. ამ ადგილებში ძვ. წ. ა. VII-V საუკუნიდან შეინიშნება სკვითური ელემენტი<sup>5</sup>.

გ.ავალიშვილის აზრით, ამიერკავკასია სკვითებმა გაიარეს პატარ-პატარა ჯგუფებად და როგორც კი მიაღწენ აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებს (ურარტუ, ასურეთი), გაერთიანდნენ. ასურულ წყაროებში (ძვ. წ. ა. VII საუკუნის ბოლო — VII ს.) იხსენიება სკვითთა ჯარი, ე.ი. უკვე დიდი ჯგუფი<sup>6</sup>. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თითო-ორილა სამარხს, ისიც განსხვავებულ ადგილებში და არა ერთად, იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სკვითთა ჯარის შექმნა ურარტუს და ასურეთის საზღვრებთან მოხდა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> პეროდოტე, დასახ. ნაშრომი, გვ. 251, 254, 255.

<sup>2</sup> Крупнов Е. И., О походах Скифов через Кавказ. Вопросы Скифо-Сарматской Археологии, М. АН СССР, 1954 г. ст. 194.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 191.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 193.

<sup>5</sup> ავალიშვილი გ. ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>7</sup> იქვე.

ამიერკავკასიაში ძვ.წ.ა. I ათასწლეულის პირველ ნახევარში შეიმჩნევა უცხო ელემენტი<sup>1</sup>. გვხვდება სკვითური ისრისპირები, მაგრამ რაოდენობრივი სიმცირის გამო ისინი ადგილობრივი მატერიალური კულტურის ნიმუშებად არ ჩაითვლება. მაგალითად, კახეთში, სოფ. მელაანში აღმოჩნდა ორფრთიანი და სამფრთიანი ბრინჯაოს სკვითური ისრისპირები (11 ც.). კჟიცხელაური მათ ძვ. წ. ა. VII—VI საუკუნით ათარიღებს<sup>2</sup>. ორფრთიანი და სამფრთიანი (სამარხი 20, 27, 71, 106, 293) ანალოგიური სამფრთიანი ისრისპირი იპოვა გ.ჩიტაიამ წიწამურში. ისრისპირები აღმოჩენილია სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა რაიონებში, აფხაზეთში<sup>3</sup>. სკვითური ისრისპირები ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სოფ. მინგეჩაურში (ძვ. წ. ა. VII—V სს.)<sup>4</sup>.

გ.ავალიშვილი განიხილავს ამ ე.წ. სკვითურ სამარხებს. დაკრძალვის წესის და თანმხლები ინვენტარის (სკვითებისთვის არადამახასიათებელი საომარი იარაღი და განსაკუთრებით კერამიკა) საფუძველზე ასკვნის, რომ ეს სამარხები არ არის სკვითური და „მოსაზრება, რომ, სადაც სკვითური იარაღია, იქ სკვითი უნდა დავინახოთ, სწორი არ არის“<sup>5</sup>. სკვითური ისრისპირების გავრცელება ისტორიული მოვლენების ანარკლია — ომი, მიგრაციები სხვადასხვა ხალხში ქმნის ერთნაირ იარაღს, ამიტომ იარაღი ნაკლებად განმსაზღვრელია კულტურულ-ეთნიკური ერთობისა<sup>6</sup>.

გ.ავალიშვილის აზრით, ამიერკავკასიაში აღმოჩენილია ისეთი სამარხებიც, რომლებიც საკუთრივ სკვითურად უნდა ჩაითვალოს. ასეთი უნდა იყოს მაგალითად, 1966 წელს შულავერთან შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანში (№4) გათხრილი სამარხი<sup>7</sup>.

ამრიგად, სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები უცხო არ არის ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. თუმცა გარკვეულ დრომდე ეს აღმოჩენები მხოლოდ სკვითური იარაღის პოვნით შემოიფარგლებოდა.

<sup>1</sup> ავალიშვილი გ. ბ. დასახ. ნაშრ. გვ. 92.

<sup>2</sup> ჯი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., იორ-ალაზნის აუზში მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ. 1965, გვ. 106.

<sup>3</sup> ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ. ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 93 Техов Б. В., Скифы и центральный Кавказ в VII—V, вв. до н.э. М. 1980.


<sup>4</sup> ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ. ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

<sup>5</sup> ი ქ ვ ე, გვ. 95.

<sup>6</sup> ი ქ ვ ე, გვ. 97.

<sup>7</sup> ი ქ ვ ე, გვ. 96.


საქართველოს ტერიტორიაზე ზეიანის მიწების ქვა-კაცის აღ-  
მოჩენა ერთადერთი და უნიკალური შემთხვევაა. მას განსაკუთრე-  
ბული მნიშვნელობა ენიჭება აღმოჩენის კონკრეტული ადგილიდან  
გამომდინარე, რადგანაც ადასტურებს სკვითების მოძრაობას ამიერ-  
კავკასიაში. ჩვენი აზრით, იგი უდავოდ სკვითურ სამყაროს, მის მა-  
ტერიალურ-კულტურას უკავშირდება და მისი პოვნის ფაქტი ზეიან-  
ის მიწებზე შემთხვევითად არ უნდა ჩავთვალოთ.




1. Граков Б.И. — Скифы, М.1971.
2. Смирнов А.П. — Скифы, М. 1966.
3. Скифия и Кавказ — К. 1980.
4. Черненко Е.В. — Скифские лучники, К. 1967.
5. Черненко Е.В. — Скифский доспех, К. 1968.
6. ჰეროდოტე, — ისტორია, ტ. 1, თბ., 1976.
7. Скифские древности — К. 1973.
8. Миллер А.А. — Новый источник к изучению связи Скифии с Кавказом — ИРАИМК т. IV, А. 1925.
9. Шульц П.Н. Скифские изваяния Причерноморья, Античное общество М. 1967.
10. Федоров-Давыдов — Курганы, идолы, монеты — наука 1968.
11. ავალ იშვილი გ.ბ. — ქვემო ქართლი ძვ. წ. ა. 1 ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974.
12. Вадецкая — Сказки древних курганов.
13. Токарев С.А. — Ранние формы религии и их развитие — М. 1954.
14. Черников С.С. — Загадки Золотого кургана, М. 1965.
15. МИА — №64.
16. Берхин И.П. Галанина Л.К. — Скифы, М. 1964.
17. Ильинская В.А. — Некоторые мотивы раннескифского зверинного стиля СА, №1, 1965.
18. Ильинская В.А. Тереножкин А.И. — Скифия VII— IV вв. до н.э. К.1983.
19. М. арковин В.И. Мунчаев Р.М. — Каменные изваяния из Чечено—Ингушетии, СА, 1964, №1.
20. Мелюкова А.И. — Каменная фигура Скифа-воина, КСНИМК вып. ХУШ, 1952.
21. Алтамонов М.И. — Скифское царство в Крыму — В.Л.У, 1948, №8.
22. Алтамонов М.И. — Антропоморфные божества в религии Скифов— Арх. Сборник, 1961, вып. 2.
23. Бессонова С.С. — Религиозные представления Скифов, К., 1983.
24. Тахтай О.К. — Скифская статуя из с.Ольховник, Донецкая область — Арх. т.ХУП, К.1964.
25. Руденко С.И. И.М. — Искусство Скифов Алтая, ГМИИ, 1949.
26. Мурзин В.Ю. — Скифская Арханка сев. Причерноморья, К. 1984.
27. Мелюкова А.И. — Вооружение Скифов М. 1964.
28. Скифы и Сарматы, К.Наукова думка.
29. ფიცხელაური კ. — იორ-ალაზნის აუზში მოხაზულ ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965.

30. Пиотровский Б.Б. — Скифы и Закавказье, — Ученые записки ЛГУ, серия ист.наук, 1949, вып. 13.
31. Крупнов Е.И. — Древняя история сев.Кавказа. М.1960.
32. Граков Б.И. — Скифский Геракл — КСИИМК, вып. XXXIV.
33. Е.И. Крупнов — Глиняная головка «Скифа» из Закавказья, В.Д.И. 1940, №3—4.
34. Крупнов Е.И. — О походах скифов через Кавказ, Вопросы Скифо-Сарматской археологии. М. АН СССР, 1954 г.
35. Малая Советская Энциклопедия, т.4, М. 1959г.
36. Елагина Н.Т. — Скифские антропоморфные стелы Краснониколаевского Музея, СА, 1959, №2.
37. Техов Б.В. — Скифы и центральный Кавказ в УП—УИ в.в. до н.э. М. 1980г.
38. Членова Н.Л. — О связях северо-западного Причерноморья и Нижнего Дуная с востоком в киммерийскую эпоху. *Studia Thracica I*, Фрако-Скифские культурные связи, София, 1975 г.

# ტ ა ბ უ ლ ე ბ ი






ა)




ბ)





გ)

- ა) ქა-საბო გეოგრაფიული მონუმენტი
- ბ) ქა-საბო მონუმენტის სტრუქტურა
- გ) ქა-საბო მონუმენტის სტრუქტურა

II



- Յ) ՆԱՅՔԱՊԵՐԻ ԵՐԵՂՅՈՒՆ:
1. ԻՊԵՐԱԾՈՒՄԵՆՆԻՆ ԿՐԻՏՆԱՆՈՒՄ
  2. «ՆԵՂՏՈՒՆ ԳՈՅՈՒՄՆԱՆ»
  3. ՆԵՐՄԱՅԵՆՄՈՅՆՆԻՆ ԶԱՆՆԵՂՅՈՒՄ ԲՈՒՄ




- Վ) ԱՆՈՆԱԿՅՈՒ ԻՊԵՐՅՄԵՄՈՅՆՆԻՆ  
ԸՆ ԱՊԵՐԱԾՈՒՄԻՆ ԿՐԻՏՆԱՆՈՒՄ



- Ծ) ՊԵՐՅՈՒՆ ԿՐԻՏՆԱՆ  
ԸՆ «ՅՈՒՄՆԱՆ ԳՈՅՈՒՄՆԱՆ»  
ՕՐՈՒՄՆԱՆ ԶԱՄԱՆԱՆ  
ՆԵՐՈ ԱՆՆԱԿՅՈՒՆ



IV



ՎՅՆ-ՆՅՄԳՅՈՒ ՔՅՐՈՏԵՐ-ՈՇՅՅՅՄՈՒԹՅԱՆ


- ա) ՆՄԳ. ՇԵՒՈՒ-ՊՄՆՆՈՒ
- բ) ՆՄԳ. ՆՅՆԵՈՒ-ՈՄՆԵՒՈՒ
- գ) ՆՄԳ. ՊՅՆՆՅՄԵՒՈՒ
- դ) ՆՄԳ. ԸՆՁԳՆԵՒՈՒՄՆՆՆՈՒՆՆՈՒ ՄՁՏՈՒ
- ե) ՆՄԳ. ԶՅՂՅՈՒԹՈՒ



ՎՅՆ-ՆՅՄԳՅՈՒ ՔՅՐՈՏԵՐ ԱՅՆԱՆՈՒԹՅԱՆ

- ա) ՆՄԳ. ՊՐՈՆՅՅՅՄԵՒՈՒՆՆՆՈՒՆՆՈՒ ԸՄՏԵՆՅՈՒ
- բ) ՆՅՂԵՈՒՆ ՄՂԻՈՒ
- գ) ՆՄԳ. ՇՅՆՆՄՁՏՈՒՆՆՈՒ

V



ანტიბიოტიკების მკურნალობის დროს

ანტიბიოტიკების მკურნალობის დროს




ანტიბიოტიკების მკურნალობის დროს



ანტიბიოტიკების მკურნალობის დროს




ანტიბიოტიკების მკურნალობის დროს



ანტიბიოტიკების მკურნალობის დროს



I ԳՐԵՆՆԵՐ ԲԳՆԵՄ-  
ՍԳՆԵՐ ԱՄԻՐ-ԵՍԻ



ԳՐԵՆՆԵՐ ԲԳՆԵՄ-  
ՍԳՆԵՐ ԱՄԻՐ-ԵՍԻ



II ԳՐԵՆՆԵՐ  
ԲԳՆԵՄ-ՍԳՆԵՐ ԱՄԻՐ-ԵՍԻ



თ ა ვ ი I — ქვა-კაცი ზუიანის მიწებიდან. . . . .	3
თ ა ვ ი II — ვის გამოსახავენ სვეითური ქვა-კაცები. . . . .	10
თ ა ვ ი III — სვეითური ქვა-კაცების კლასიფიკაცია. . . . .	13
თ ა ვ ი IV — სვეითები ამიურკავკასიაში. . . . .	18
გამოყენებული ლიტერატურა. . . . .	22
ტ ა ბ უ ლ ე ბ ი. . . . .	25

«Каменное изваяние из Зейнских земель»

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси 1991 г.

გამომცემლობის რედაქტორი ე. გონჯილაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი  
კორექტორი ქ. განჯილაძე

გადიცვა წარმოებას 30.11.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.03.91. საბჭული ქაღალდი 60×84. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2. სააღრ.-საგამომც. თაბახი 1,52 ტირაჟი 1100. შვევეთის № 2960

ფასი 30 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.



მანანა ჩხიძე ისტორიკოსია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევრს-დამთავრებული.

ეს საოცრად მოკრძალებული და სათნა. გოგონა დღეს წარმატებია იღწვის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. (ბიკენთვის ექსპედიცია). წინამდებარე ნაშრომი მისი სადიპლომის ნამუშევარია. (1988 წ.) და ახალგაზრდა მეცნიერის პირველი წიგნია. „ქვა-კაცი ზეიანის ზიწებიდან“ ორგინალური გამოკვლევაა, რომელშიაც იგრძნობა ავტორის თვითმყოფადი უნარი კვლევითი მუშაობისა და აზრის ლოგიკური ჩამოყალიბებისა.

მანანა მხატვარიცაა, მას დამთავრებული აქვს მეორადი ფაქულტეტი გრაფიკის განხრით, საკუთარი წიგნის გაყენი და გრაფიკული ჩანართებიც მისი შესრულებულია.